სამართლიანი გადასვლა

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევასა და კლიმატნეიტრალურობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტები ახლავს, რის გამოც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სამართლიანობის პრინციპის დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების საფასურისა და სარგებლის თანასწორად გადანაწილება.

დაბალემისიიანი განვითარება უნდა დაეყრდნოს შემდეგ პრინციპებს:

- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები არ წარმოადგენს დამატებით **ფინანსურ ტვირთს** მოსახლეობისთვის, არამედ მხარს უჭერს ფინანსების დაზოგვასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.
- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები დადებით ზეგავლენას ახდენს **შრომით პირობებზე** და მოწყვლად სექტორებში დასაქმებულებისათვის აჩენს ახალ სამუშაო ადგილებს.
- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების **ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.** სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები კლიმატნეიტრალურობის მიზნის მისაღწევად საჭირო **ინვესტიციების განხორციელებისას** ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და პრიორიტეტულად უზრუნველყოფს აღნიშნული ჯგუფების მზარდაჭერას.

აღნიშნული პრინციპების დაცვასთან ერთად, მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- კლიმატის ცვლილების კანონის მიღებით შეიქმნას **სამართლიანი გადასვლის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო.**
- **დარგობრივ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში გამოიყოს და გაანალიზდეს სამართლიანი გადასვლის საკითხები** და ეფექტები, რაც ცალკეული პოლიტიკის ღონისძიებებს შეიძლება ჰქონდეთ საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებზე.
- ჩამოყალიბდეს **სამართლიანი გადასვლის ღონისძებების დაფინანსების წყაროები.**
- დასრულდეს საქართველოს **საკანონმდებლო ბაზის დაახლოება ევროკავშირთან** ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების მიმართულებით, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, გენდერული თანასწორობისა და სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით.
- საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საფუძველზე შეიქმნას მისი აღსრულების სათანადო მექანიზმები და **ჩამოყალიბდეს საჭირო პოლიტიკის ინსტრუმენტები.**
- შეიქმნას მოწყვლად სექტორებში დასაქმებული **პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.** უმაღლესი განათლების, პროფესიული განათლების და მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში გაიზარდოს **მწვანე სამუშაო ადგილებისთვის საჭირო პროგრამების** წილი. მეტი ყურადღება დაეთმოს ბიზნესებთან თანამშრომლობას და სამუშაო ადგილზე სწავლების პრაქტიკის გაძლიერებას.

weg
World Experience for Georgia

UNDP

მომზადებულია საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების
გრძელვადიანი კონცეფციის განხორციელების საგზაო რუკაზე დაყრდნობით